

შპს „ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი“

საიდენტიფიკაციო კოდი: 404424574

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
წლისთვის

შინაარსი

ზოგადი ინფორმაცია	3
სააღრიცხვო პოლიტიკა	4
ფინანსური ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11

ზოგადი ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი“-ს (ს/კ:404424574) (შემდგომში კომპანია) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებსა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზე ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

შპს „ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი“ რეგისტრირებულია 2012 წლის 19 ივნისს (დამატებითი ღირებულების გადამხდელად 2014 წლის 19 მაისს). კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი ზურაბ წერეთელი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამუზეუმო საქმიანობა. მუზეუმში დამთვალიერებელთა მიღება, მუზეუმში ფართის იჯარით გაცემა გამოფენებისათვის და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებისთვის.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, რუსთაველის გამზ. №27

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით-ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი 2018 წლის 1 იანვრიდან - 31 დეკემბრამდე.

მსს ფასს-ზე გადასვლა

2018 წლის 31 დეკემბრამდრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს პირველი ფინანსური ანგარიშგება რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამუზეუმო საქმიანობა. მუზეუმში დამთვალიერებელთა მიღება, მუზეუმის საკუთრებაში არსებული ფართის იჯარით გაცემა გამოფენებისათვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ფინანსური ანგარიშგება დაფუძნებულია ორ ძირითად დაშვებებზე: დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო.

გარდა ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ინფორმაციისა, ფინანსური ანგარიშგების ყველა სხვა კომპონენტი და ელემენტი განსაზღვრულია დარიცხვის მეთოდის გამოყენებით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, შესაბამისად კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (აშშ დოლარი, ევრო) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსთვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი: საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044

საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო“)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ თავისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად:

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

მოსალოდნელია მისი რეალიზება, ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა, ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში და ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა ყველა დანარჩენი აქტივი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც: მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში; ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

ფინანსური ანგარიშგება – ეს არის გასული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ინფორმაცია, რომელშიც წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად სტრუქტურულად არის მოცემული სუბიექტის ფინანსური მდგომარეობა, საქმიანობის შედეგები, ფულადი სახსრებისა და კაპიტალის მოძრაობა, სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები;

სრული შემოსავლების ანგარიშგება

- ბასს 18-ის თანახმად შემოსავალი არის საწარმოს მიერ ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში აქტივების ზრდით ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საკუთარი კაპიტალის ზრდით, რომელიც არ არის დაკავშირებული მესაკუთრეთა დამატებით შენატანთან.

- შემოსავლის სახეები : საოპერაციო და არასაოპერაციო.
- შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა, ან სხვა ეკონომიკური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება ნეტო ღირებულებით ე. ი. მესამე პირის ხელით ამოღებული თანხების (დღგ აქციზი) გარეშე;
- ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიკური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა;
- შემოსავლები აღირიცხება ფინანსურ ანგარიშგებაში და აისახება მისი წყაროების მიხედვით;
- ხარჯები აღირიცხება ფინანსურ ანგარიშგებაში, აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით;
 - წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება:
- დივიდენდების გასაცემად;
- სხვა მიზნით აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

ფინანსური ნაკადების ანგარიშგება -

- საოპერაციო საქმიანობები მოიცავს მოგების მომტან საოპერაციო საქმიანობებს. ამ ციფრის გამოთვლა შეიძლება პირდაპირი ან არაპირდაპირი მეთოდით.
- ფულადი სახსრების ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან მოიცავს გრძელვადიან აქტივებზე დახარჯულ ფულად სახსრებს, გრძელვადიანი აქტივის რეალიზაციიდან მიღებულ ფულად სახსრებს და ინვესტიციიდან მიღებულ მოგებას.
- ფულადი სახსრების საფინანსო ნაკადები მოიცავს აქციების გამოშვებიდან მიღებულ ფულად სახსრებს, გრძელვადიანი სესხების აღებას და დაფარვას. ჩვენს შემთხვევაში ეს ოპერაციები არ გვაქვს.
- ფულისა და ფულადი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება მოიცავს წლის განმავლობაში მომხდარ მოვლენებს.
- ფული ნიშნავს ფულად სახსრებს სალაროში და მოთხოვნამდე დეპოზიტზე.
- ფულის ეკვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციები, რომელთა განსაზღვრულ ფულად სახსრებად კონვერტაცია ადვილად შესაძლებელია და მათი ღირებულების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკი

ძალიან მცირეა.

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	შენიშვნა	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
		2018	2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1	3,204	98,042
სავაჭრო მოთხოვნები			
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი			
მარაგები	2	4,969	11,406
- მზა პროდუქცია			
- სხვა		4,969	11,406
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	3	3,221	1,599
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	4,821,990	4,881,932
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები		4,833,384	4,992,979
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები			
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები			
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	5		229,104
სულ ვალდებულებები		-	229,104
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')			
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	6	4,833,384	4,763,876
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი		4,833,384	4,763,876
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		4,833,384	4,992,980

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

		საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
		2018	2017
ნეტო ამონაგები			
საქონლის გაყიდვიდან	7	6,437	
მომსახურების გაწევიდან	8	559,701	346,925
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა			

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება			
საწყისი მარაგები		(11,406)	11,406
მარაგების შესყიდვა		-	
გადამუშავების დანახარჯები			

საბოლოო მარაგები		4,969	11,406
საერთო მოგება		549,763	324,113

სხვა შემოსავალი		-	
დასაქმებულთა ანაზღაურება	9	(286,546)	(227,496)
ცვეთა და ამორტიზაცია	10	(68,797)	(54,464)
საპროცენტო შემოსავალი:			
საპროცენტო ხარჯი :			
იჯარის ხარჯი			
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	11	(352,738)	(247,887)
სულ საოპერაციო ხარჯები		(708,075)	(529,847)

საოპერაციო მოგება		(158,312)	(205,735)
--------------------------	--	------------------	------------------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	12	5,9	
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)			
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(158,312)	(205,735)
მოგების გადასახადი		-	-
მოგება/(ზარალი)		(158,312)	(205,735)

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)			

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		4,763,876	4,835,611
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		-	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები	13	69,508	(71,735)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		4,833,384	4,763,876

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

		საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
		2018	2017
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	14	(87,787)	178,079
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	14	(7,051)	(83,702)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	14	(94,838)	94,377
სავალუტო კურსის ეფექტი			
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		98,043	3,665
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	14	3,204	98,042

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

აქტივები

კომპანიის აქტივებს წარმოადგენს მის საკუთრებაში არსებული ფულადი სახსრები, სავაჭრო მოთხოვნები, წინასწარ გადახდილი ავანსები, ძირითადი საშუალებები და მარაგები.

1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში.

	31.12.2017 წ.	31.12.2018 წ.
ბანკი	98033,68	3204
სალარო	8,7	0

2. მარაგები: მარაგის თვითღირებულება მოიცავს: შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯები და სხვა პირდაპირი ხარჯები აღიარდება დამოუკიდებლად როგორც ხარჯი.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობა ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვით ღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

მარაგის საწყისი ღირებულებაა 11406 ლარი.

საბოლოო ღირებულება 4969 ლარი.

3. სხვა მიმდინარე აქტივები- თანხა, რომელიც ერიცხებოდა კომპანიას, როგორც ზედმეტობა ბიუჯეტში, კონკრეტული თარიღისთვის.

სხვა მიმდინარე აქტივები	3	3,221	1,599
-------------------------	---	-------	-------

4. ძირითადი საშუალებები - ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება ბასს-16-ით „ძირითადი საშუალებების“ შესაბამისად, თვითღირებულებით.

თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას, ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის.

ძირითადი საშუალებების აღიარება შეწყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის და ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში. კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს.

2017 წელი		2018 წელი	
კომპიუტერები	13077,55		13921,5
ოფისის აღჭურვილობა	84019,51		71568,61
სატრანსპორტო საშუალებები	2562,74		2050,19
შენობა-ნაგებობა	4782272		4734450

5. სხვა ვალდებულებები- მოკლევადიანი ვალდებულება, რომელიც კომპანიას აქვს აღებული ავანსის სახით შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიასგან“ 2017 წელს.

სხვა ვალდებულებები	5	229,104
--------------------	---	---------

თანხის შემოსავლად აღიარება მოხდა 2018 წელს, როდესაც დასრულდა მომსახურება.

6. გაუნაწილებელი მოგება / ზარალი- საქმიანობის შედეგად მიღებული მოგება.

საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალის (ჩვეულებრივი აქციები) საემისიო კაპიტალის, გამოსყიდული საკუთარი კაპიტალის მიმდინარე და წინა წლის გაუნაწილებელი მოგებისაგან. საწესდებო კაპიტალი მოიცავს გაუნაწილებელ მოგებას და სხვადასხვა რეზერვებს.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალი შეადგენს **4835611** ლარს.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით **4763876** სადაც პერიოდის განმავლობაში მიღებული ზარალი შეადგენს **(205735)** ლარს. 134000 კი დამფუძნებლის შენატანია კაპიტალში.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით **4833384** ლარს , სადაც პერიოდის განმავლობაში მიღებული ფინანსური ზარალი შეადგენს **(158312)** ლარს. ხოლო დამფუძნებლის შენატანი კაპიტალში 227820 ლარს.

7. ნეტო ამონაგები საქონლის გაყიდვიდან- ამონაგები მოიცავს შემოსავლებს რეალიზაციიდან, მყიდველებისთვის. საქონლის გაყიდვიდან. მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. ამონაგების თანხა მოცემულია დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე.

		2018	2017
ნეტო ამონაგები			
საქონლის გაყიდვიდან	7	6437	

8. ნეტო ამონაგები მომსახურების გაწევიდან -

		2018	2017
ნეტო ამონაგები			
მომსახურების გაწევიდან	8	559,701	346,925

9. დასაქმებულთა ანაზღაურება- შრომის ანაზღაურება მოიცავს დასაქმებულებზე გაცემულ თანხას ხელფასის სახით საშემოსავლოს ჩათვლით.

		2018	2017
დასაქმებულთა ანაზღაურება	9	286,546	227,496

10. ცვეთა და ამორტიზაცია- ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რაც გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

ძირითად საშუალებაზე ცვეთის დასარიცხად კომპანია იყენებს შემდეგ წლიურ განაკვეთებს :

1. შენობა ნაგებობები -1%
2. საოფისე აღჭურვილობა- 20%
3. ავეჯი და სხვა ინვენტარი -20 %
4. სატრანსპორტო საშუალებები - 20%
5. სხვა ძირითადი საშუალებები- 20%

11. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი- მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის გაზრდას, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები აღიარდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

		2018	2017
--	--	------	------

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	11	352,732	247,887
--	----	----------------	----------------

2018 წლის საანგარიშგებო პერიოდის ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯია:

კომუნალური ხარჯი - 155592

კომუნიკაციის ხარჯი - 6272

საწვავის ხარჯი - 1009

ერთჯერადად დაქირავებული მუსა ხელის მომსახურების ხარჯი - 3725
ბანკის ხარჯი - 281
ძირითადი საშუალების შეძენის ხარჯი - 85985
სხვა მიმდინარე ხარჯი 99868

ჯამში 2018 წელს გაწეული ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი შეადგენს 352732 ლარს.

12. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან- წარმოქმნილი სხვაობა ვალუტის გადაფასების შედეგად დაგროვებულ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის, საანგარიშგებო წლის განმავლობაში.

2018 წლის მოგება კურსთაშორის სხვაობიდან შეადგენს :

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	12	5,9
---	----	-----

13. კაპიტალის სხვა ცვლილებები- მიმდინარე წლის მოგება-ზარალს დამატებული დამფუძნებლის მიერ კაპიტალის შესავსებად შემოტანილ და გატანილ თანხებს შორის სხვაობა, წლის განმავლობაში.

2018 წლის კაპიტალის ცვლილება შედგება :

2018 წლის ზარალს (158312) ლარს დამატებული დამფუძნებლის შენატანები კაპიტალში 227820 ლარი.

ჯამში კაპიტალის ცვლილებაა- 69508 ლარი. (-158312+227820)

14. ფინანსური ნაკადების ანგარიშგება :

წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	14	(7,051)	•
---	----	---------	---

საოპერაციო საქმიანობები მოიცავს მოგების მომტან საოპერაციო საქმიანობებს. ამ ციფრის გამოთვლა შეიძლება პირდაპირი ან არაპირდაპირი მეთოდით. მოიცავს:

1. საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები;
2. სხვა შემოსავლებიდან მიღებული ფულადი სახსრები;
3. საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები;

4. თანამშრომლებისათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები;
5. კომერციული გარიგებისა და სავაჭრო მიზნით დადებული ხელშეკრულებებით მიღებული და გადახდილი ფულადი სახსრები.

• ფულადი სახსრების ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან მოიცავს გრძელვადიან აქტივებზე დახარჯულ ფულად სახსრებს, გრძელვადიანი აქტივის რეალიზაციიდან მიღებულ ფულად სახსრებს და ინვესტიციიდან მიღებულ მოგებას. მოიცავს:

1. ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები.
2. ძირითადი საშუალებების და სხვა გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები;

• ფულადი სახსრების საფინანსო ნაკადები მოიცავს აქციების გამოშვებიდან მიღებულ ფულად სახსრებს, გრძელვადიანი სესხების აღებას და დაფარვას.

1. სესხების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები
2. ბიუჯეტში გადახდილი ფულადი სახსრებისგან.

• ფულისა და ფულადი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება მოიცავს წლის განმავლობაში მომხდარ მოვლენებს. შემოსულებებს და დანახარჯებს.

• ფული ნიშნავს ფულად სახსრებს სალაროში და მოთხოვნამდე დეპოზიტზე.

• ფულის ეკვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციები, რომელთა განსაზღვრულ ფულად სახსრებად კონვერტაცია ადვილად შესაძლებელია და მათი ღირებულების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკი ძალიან მცირეა.

დირექტორი: -----

11 კობ სერგოძე ქახიძე

